საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12607/01
07/12/2021

12607-01-2-202112071225

შპს „ფერუს დეველოპმენტს“

მის: ქ. რუსთავი დუმბაძის გ.3

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N17980 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, ილიას ტბის მიმდებარედ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულება;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილის ფართობის შესახებ. ამასთან, ვინაიდან სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია მიწის ქვეშ, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქნების მოცულობისა და შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები (ტიპი, ტექნიკური პარამენტრები);
- სკრინინგის განცხადებაში ცხრილი 2.3.2.1.-ში და ცხრილი 2.3.8.1.-ში მოცემული გამწმენდ ნაგებობაში შემავალ ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩამონათვალი, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ჩამდინარე წყლის ხარჯის და გამწმენდი ნაგებობის წარმადობის (სიმძლავრის) შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ზურმუხტის ქსელის „ყვარელი-შილდას“ შეთავაზებული ტერიტორიიდან (GE0000029) დაშორებულია 10-15 მეტრით, ხოლო საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული ტერიტორია მოიცავს ზურმუხტის ქსელის კანდიდატ ტერიტორიას (GE0000029), შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების (ზზშ) ანგარიში;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და მართვის საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, სად და რა პირობებში მოხდება წარმოქმნილი ლამის გაუვნებელყოფა და განთავსება;
- სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნიადაგისა და გრუნტზე ზემოქმედება უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, თუმცა მოცემული არ არის ინფორმაცია დაბინძურების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ მე-7 გვერდზე მითითებულია, რომ „დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოტყორცნა გამწმენდი მოწყობილობებიდან არ აღემატება ფონურ კონცენტრაციებს", ხოლო 3.2 თავში აღნიშნულია, რომ „გამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით სამშენებლო ბანაკის, მათ შორის ემისიების გამომწვევი სტაციონალური ობიექტების გამოყენება დაგეგმილი არ არის". შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე